შეხვედრის ოქმი
29 მარტი, კაჭრეთი
კაჭრეთის საზოგადოებრივი ცენტრი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2016

სოფელ კაჭრეთში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო სკოლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველმა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, მარიამ თუთბერიძემ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მარიამ თავდგირიძემ და ეკა გაბადაძემ და იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა ნინო მურველაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით გაიწეროს ღია მმართველობა საქართველოს 2016–2017 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრებს სოფლის ყოველდღიურ პრობლემებზე და აღნიშნეს რომ ეგრეთ წოდებული მოხვნის ვაუჩერები, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ანაწილებს, არამიზნობრივად რიგდება და ხშირია შემთხვევა, როდესაც აღნიშნული ვაუჩერი გადაეცემა პირს, რომელიც მიწას არ ამუშავებს და შემდეგ ხდება მათი გაყიდვა;
- შეხვედრის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოხატეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაობასთან დაკავშირებით, რაც ძირითადად ეხებოდა შორი მანძილიდან მათ გადაადგილებას (მაგ. სოფელი კაჭრეთიდან მიდის სოფელ შაშიანში) და ხშირია შემთხვევა, როცა ბრიგადა მარტივად ვერ აგნებს მისამართს;
- შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა დაინტერესებული იყო მიწის რეგისტრაციის გამარტივების საკითხით. კერძოდ, მათ აინტერესებდათ გამარტივებული რეგისტრაციის დაწყების ზუსტი დრო;
- შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კომლის შემადგენლობის ცნობა. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ცნობაში არასწორად არის ასახული პირის სახელი, რის გამოც მოქალაქეს უწევს მიმართოს სასამართლოს, ხოლო აღნიშნულ პროცედურას გარდა დროისა სჭირდება გარკვეული თანხა (სასამართლო ბაჟი 150 ლარი). სახელებში შეცდომის მიზეზი არის ის, რომ ცნობები შედგენილია 1992 წლიდან 2000 წლამდე პერიოდში, როდესაც პირადობის მოწმობაში არსებულ სახელს ცნობის შედგენისას არ აქცევდნენ

ყურადღებას, რამაც გამოიწვია ის, რომ მცხოვრებთან კნინობით ან შემოკლებული სახელი არის ასახული ცნობაში. შეხვედრის მონაწილეებმა ითხოვეს აღნიშნულთან დაკავშირებით პროცედურის გაიოლება და სასამართლოს გარეშე აღნიშნული საკითხის მოგვარების შესაძლებლობის დაშვება;

- შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში ფასისა და ხარისხის თანაფარდობის მნიშვნელობაზე და გამოთქვეს მოსაზრება ამ მხრივ მარეგულირებელი ნორმების შეცვლის საჭიროებაზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღებას ხელს უშლის ის, რომ სოფლის მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს კომპიუტერი.